შობა-ახალ წელს გილოცავთ! იხარეთ, გაძლიერდით, მრავალჟამიერ!

„მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 12 (278) 26 დეკემბერი ოთხშაბათი, 2018 წელი; ფასი 1 ლ.

ახალი წელი მოდის, საით მიდის საქართველო?

დავძლიოთ სიღარიბე, შური, მტრობა

ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი! აარიდე შური, მტრობა, გაუტანლობა..
რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია

ღმერთი დედამიწაზე დამდაბლდა, რათა ზეცად აეყვანა ადამიანი

„25 დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო" დაე, იშვას იგი თოთოეული ქართველის გულში.

საქართველოს ევროპული არჩევანი:
პირველი ქალი-
საქართველოს პრეზიდენტი-
სალომე ზურაბიშვილი
დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავლი-
დიდი გზის გამგრძელებელი
ფოთელთა მოლოდინი
ფოთს-დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსი, თავისუფალი ეკონომიკური ზონის განახლება, ახალი ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა.

მე-4გვ

საქართველოს პრეზიდენტის ინაოგურაცია იქო ერის ისტორიისა და თანაარსებობის დღესასწაული, სიმბოლურია ისიც, რომ დიდი მეფის ერეკლე მეორის სასახლიდან დაიძუხეს ქვემეხებმა და გაადვიძეს სრულიად საქართველო

დაე, იყოს იგი მოწოდება თავისუფალი დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანი მსახურებისა.

შობა-ახალ წელს გვილოცავენ

ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია

მე-3-გვ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

მე-3-გვ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია

მე-3-გვ

სახალწლო მილოცვა!

დგება ახალი წელიწადი და ნება გვიმღეთ, ასე გიკვლიოთ:
ღმერთმა ხანგრძლივი დრო მოგცეთ სიცოცხლისათვის, ხოლო იცოდეთ კი, რომ დრო ხანგრძლივია მისთვის, ვინც ირჯება, აზროვნებს და ფიქრობს, იგი დროთა საზღვარს შორს გასდგამს ხოლმე.
ღმერთმა გაგაძლიეროთ!

ილია ჭავჭავაძე

ბიძინა ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სანამ „ნაცები" მობრუნებულან

დემოკრატიის გაკვეთილები „ოცნებისათვის"

მე-7-გვ

„ფაზისის" აკადემიის სხდომა **ელგუჯა ამაშუკელი- 90**
ზაირა გაბელია - გუნცაძის პოეტური კრებულის **„იდუმალი ქალი"** პრეზენტაცია

მე-5-გვ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, წლების განმავლობაში ფოთის ვიცე-მერი

ირაკლი ალექსანდრეს ძე მოწერელია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მშენებლობა 21-ე საუკუნის პარამეტრებით
ახალი თაობის ბინები
სრული რემონტითა და დიზაინური სიურპრიზებით
ზურაბ გარუჩავა
სამშენებლო კომპანია „HOCHBAU" ხელმძღვანელი

მე-7-გვ

რეგიონალური ტურნირი ფეხბურთში

სპორტის დამსახურებული მუშაკის, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ყოფილი კაპიტნის, პეტრე ზამბახიძის თასზე
18-23 ოქტომბერი, 2018 წელი

მე-6-გვ

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს ძვირფასო თანამოქალაქენო!

დაე, ეს წელი ყოფილიყოს საქართველოს სულიერი და ტერიტორიული გამთლიანების, სიახლეთა განხორციელების, სიხარულისა და ბედნიერების მომტანი წელი!

ხელისუფლებაში-ახალი კადრები

ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე კონსტანტინე თოფურია

კონსტანტინე თოფურია დაიბადა ქ. ფოთში, 1972 წლის 28 ოქტომბერს.

1990-1995 წწ დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ძნელდობადი არალითონებისა და სილიკატური მასალების წარმოების ქიმიური ტექნოლოგიის განხრით.

2004-2005 წწ დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სამართლის ფაკულტეტი

1994-2000 წწ მუშაობდა საქართველოს ახალგაზრობის საქმეთა დეპარტამენტის ქ. ფოთის საქალაქო განყოფილების უფროსად. 1996-2000 წწ იყო ქ. ფოთის მერიის სტიპენდიებისა და გრანტების გამცემი კომისიის მდივანი, მთავრობის წევრი;

2000-2004 წწ მუშაობდა შპს „მაგთიკომი"-ში, - სამეგრელოს რეგიონალური წარმომადგენელად, ფოთის ფილიალის მენეჯერად. 2004-2005 წწ ქ. ფოთის ადგილობრივი თვითმმართველობის ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსია, ქ. ფოთის მთავრობის წევრი;

2005-2007 წწ - შპს „ჯეოსელი" ქ. ფოთის ფილიალის დირექტორია.

2007-2010 წწ შპს „თეაკომის" დირექტორი

2010-2011 წწ - ქვემო ქართლის შემოსავლების სამსახურის კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე.

2012-2014 წწ -შპს "ქართული საინვესტიციო ჯგუფი 21"; აღმასრულებელი დირექტორი

2014 წ-დღემდე შპს "თეაკომის" დირექტორი, 2014 წლიდან - შპს "ნაზვრევის" დირექტორია. 2018 წ. 01 ნოემბრიდან ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.

ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ხუთი შვილი.

ვულოცავთ შობა-ახალ წელს ბატონ კონსტანტინე თოფურიას, ვუსურვებთ წარმატებებს პირად ცხოვრებაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში

გილოცავთ!

ნუგზარ ნადარაია

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი

ახალი წლის მობრძანება შობის დადგომის სიხარულით, მომავლის რწმენითა და იმედით არის გაბრწყინებული. დაე, ყოფილიყოს იგი სიახლეების, წინსვლის, ბედნიერების მომტანი წელი ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი უძველესი ისტორიის მქონე ქალაქის ცხოვრებაში. ფოთი-ფაზისი დგას ახალი რეალიების წინაშე, რათა დაიბრუნოს საქართველოს ეკონომიკური და კულტურის ცენტრის-ფუნქცია განახლებულ „აბრეშუმის" გზაზე.

სულიერ, ეკონომიკურ და კულტურულ აღმავლობას ქრისტიანული რწმენის, ღვთაებრიობის საწყისებთან მივყავართ - საქართველოს გზა ეს არის გზა ჯვარცმისა და მარადიული აღდგომისა და ეს მძიმე ჯვარი ყველამ ერთად ბოლომდე უნდა ვატაროთ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორე აღმაშენებლის ხელმძღვანელობით.

ერთხელ კიდევ გულითადად ვულოცავ ჩემს საყვარელ თანაქალაქელებს 2019 წლის დადგომას. დაე, გვაერთიანებდეს ფოთი-ფაზისისადმი უდიდესი სიყვარული, წარსულის პატივისცემა და მომავლის რწმენა, რომ ლეგენდების ქალაქი კვლავაც იქნება ჩვენი ქვეყნის ემპირიონი.

შობის მადლი და ღვთის შეწევნა არ მოგშლოდეთ სამარადჟამოდ.

24 დეკემბერი
2018წელi

გილოცავთ!

ალეკო დოლმაია

„ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის კომპიუტერული ცენტრის დირექტორი

ოქროს ნაპირი

ვიხილე ისევ ოქროს ნაპირი, –
ჩემი მაკშვიმის სევდა – გიგანტი,
დამადემით ვარ სხივთა ვამპირი,
საოცრემათა გულთან მიმცანი.

ვიცი, რომ გული დამიწყრს მარათს,
მაგნოლიემის მხიმლავს მკლავემი,
მეფეტრემიან შვილემის დარად
ცალღემი – სხივთა ამრეკლავემი...

გავკუტრემ სივრცეს და თითქოს
ვმარცვლავ
მუნემის ნიჭით ხელთუქმნელ
მოციკს,
ჩამესმის, ღამის სიჩუმის ნაცვლად,
ქვიშაზე ცალღის შრიალის ნოტი...

ისევ ძველემურს მიამმომს ზღაპარს
ზღვა და ამრწყინემს თავის
ნაპირემს,
ვხედავ ქვიშაზე დახატულ ნახატს,
რომლის წაშლასაც ვერ
დავაპირემ...
ვიხილე ჩემი ოქროს ნაპირი, –
განანლემული სევდა – გიგანტი,
დამადემით ვარ სხივთა ვამპირი,
საოცრემათა გულთან მიმცანი.

20 დეკემბერი 2018 წელი

აქ იბეჭდება ჩვენი გაზეთი

პატარა საწარმო გამარჯვების დიდ გზაზე

სტამბა „ირიდა", ანუ ცისარტყელას ქალღმერთი

Irida
Printing Design Advertising

გიორგი (ბაჩუკი) ნოდია

ძნელი იყო პოლიგრაფიული სტამბა „ირიდას" პირველი ნაბიჯები, რომლის დამფუძნებლები არიან გიორგი (ბაჩუკი) ნოდია და რომან თავართქილაძე.

ყველაფერი დაიწყო 1991 წლიდან. მათი ერთადერთი და პირველი საბეჭდი მანქანა იყო „რომაიერი", მაგრამ საოცარი ოპტიმიზმის წყალობით, უშრეტი ენერგიითა და შეუპოვრობით შექმნეს ფოთში თანამედროვე ტიპოგრაფიული სტამბა. დღეს ის აღჭურვილია უახლესი მანქანა - დანადგარებით, როგორიცაა საკმაოდ ცნობილი ბრენდები „ჰეიდელბერგი", „რიობი", „როლანდი", „ჰორიზონი", „ფუჯი", „აგფა", ფერადი ქსეროქსი და ა. შ.

წარმოუდგენელი იყო, რომ სულ მოკლე პერიოდში სტამბა „ირიდა" შეძლებდა ფერადი ჟურნალების, წიგნების, ბუკლეტების, ბროშურების, კალენდრების, სტიკერების, ეტიკეტების, ბლანკების, კონვერტების, საქაღალდეების, სასაჩუქრე ატრიბუტიკის (მაისურებს, კეტებს, სანთებელებს, კალმებს, ქოლგებს) დაბეჭდვას აქ ხელეწიფებათ აგრეთვე ლამინირება, ტრაფარეტული ბეჭდვა (შოლკოგრაფია), თერმოტრანსფერი, თერმოგრაფია (ფოტო გამოსახულებების გადატანა ქსოვილზე და ჭიქაზე).

ასე რომ, ეს თანამედროვე სტამბაა, მუდამ მზადაა თქვენი ბიზნესის წარმატების უზრუნველყოფისათვის. აქ იღწვიან ისეთი პოლიგრაფისტები, რომლებიც ტოლს არ უდებენ ქვეყანაში გამოჩენილ პოლიგრაფისტებს. საოცარი ტანდემი ჩამოყალიბდა გიორგი (ბაჩუკი) ნოდიასა და რომან თავართქილაძის სახით. მათ გვერდით არიან ახალგაზრდები, რომლებიც მხარში უდგანან საწარმოს ხელმძღვანელებს, რომლებიც გამომირჩევიან შრომისმოყვარეობითა და

რომან თავართქილაძე

კეთილსინდისიერებით. ესენი არიან ფინანსური მენეჯერი დარეჯან ჩაჩავა, პოლიგრაფისტები ემზარ კილასონია, დავით თავართქილაძე, აქვე მუშაობენ ახალგაზრდა სპეციალისტები, ოპერატორ - დიზაინერი ქეთევან ჩხარტიშვილი, მაკა ბერძენიშვილი; ირინა ჯაში, მიშა ჭითავა და ხვიჩა ბერძენი.

როცა აქ გაზეთი იბეჭდება ყველა მათგანისგან საოცარ ყურადღებას ვგრძნობთ, მიუხედავბად იმისა გვაქვს თუაარა შეხება მათთან. განსაკუთრებული მადლიერება გვინდა გამოვთქვათ გიორგი ნოდიას მისამართით, იმ ყურადღებისა და ლოიალობისათვის, რასაც ჩვენი ღარიბი გაზეთის მიმართ იჩენს. იგი არამხოლოდ კარგი ტიპოგრაფისტი და ხელმძღვანელია, არამედ კარგი მკითხველი და შემფასებელიცაა. ამიტომაც აქ წესრიგი, მონდომება და ურთიერთ პატივისცემაა.

ეს მართლაც ულტრათანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სტამბაა, რომელსაც წინ ახალი წარმატებები ელის.

გილოცავთ!

ნინო თოდუა

ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

ძვირფასო ფოთელებო

ყველა ფოთელს ვუსურვებ არანაკლებ ჩემს ასაკამდე სიცოცხლის სიხარულით დატკბეს.

ვისურვებდი აფხაზ და ოს თანამემამულეებმა გააცნობიეროს, რომ ჩვენი ერთად ყოფნა მათი გადარჩენაა, ჩვენი წინაპრების დაფასებაა. ვისურვებდი ამპარტავნობას კი არა თავმოყვარეობა აღდგეს, დაბრუნდეს თავის ქვეყანაში ლუკმაპურის მაძიებელი ქართველები. ვისწავლოთ ერთმანეთის მოსმენა მიტევება და სიყვარული.

მჯერა, ხვალინდელი საქართველოსი. გაიხარეთ თანამოქალაქენო.

გილოცავთ!

ჯუმბერ ცომაია

შპს „ბნპ"-ის გენერალური დირექტორი

მოდის ახალი წელი და მას ახალი სურვილებით, იმედებით და მოლოდინით ვხვდებით, იმედია 2019 წელს კოდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეში, ცხოვრება ნელა, მაგრამ იცვლება უკეთესობისკენ, მთავარია, ყველას ერთი მიზანი-სამშობლოს წინსვლა, ქრისტიანული რწმენა გვაერთიანებდეს.

ახალი წლის და ქრისტეშობის დღესასწაული განუყოფელია, ღვთიურობის საწყისთან მივდივართ და ძალიან მინდა ქრისტე იშვას თითოეულ ჩვენგანის გულში. საქართველო რწმენამ მოიყვანა აქამდე და მას გაფრთხილება სჭირდება, „ენა, მამული, სარწმუნოება" ჩვენი უკვდავი საუნჯეა, უნდა შევინარჩუნოთ იგი. თუ გვინდა დავრჩეთ ქართველებად.

დაე, ყველა ოჯახისათვის სიხარული და ბედნიერება მოუტანოს ამ წელს, იხარეთ მრავალჟამიერ!

შობა-ახალ წელს გვილოცავენ ხელისუფლების წარმომადგენლები!

საქართველოს გზა ეს არის ქრისტეს გზა, გზა ჯვარცმის და გარდაუალი აღდგომისა. პატრიოტიზმით შევაჩეროთ რწმენის, ზნეობისა და ადამიანური ღირებულებების გაუფასურების პროცესი, პატივი ვცეთ ყველას უფლებებს, მაგრამ არა ჩვენი ღირსებების და ქვეყნის დამოუკიდებლობის ხარჯზე. კეთილდღეობა, ამაღლებული განწყობა, სიმდიდრე და სიხარული დაგბედებოდეთ!

ახალი ხედვით, დაულაესავი შრომით შეცვალეთ რეალობა, დაუბრუნეთ რწმენა და განწყობა ადამიანებს, მიეცით ფოთელებს თავიანთი ძალების, ნიჭის რეალიზების საშუალება.

ქ. ფოთის მაჟორიტარი დეპუტატი, პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია

ძვირფასო ფოთელებო! გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! მშვიდობის და კეთილდღეობის მომტანი ყოფილიყოს 2019 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის!

გასული, 2018 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნისთვის. ქვეყანაში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტად ავირჩიეთ ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი, საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტი, ნიკო ნიკოლაძის შთამომავალი, რომელიც იქნება საქართველოს თითოეული მოქალაქის პრეზიდენტი და განსაკუთრებული გულშემატკივარი და მხარდამჭერი ჩვენი ქალაქის.

მინდა ერთგვარად შევაჯამო 2018 წელს ჩვენს ქალაქში დაწყებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები.

პროექტის მნიშვნელობიდან გამომდინარე ყველაზე პრიორიტეტული იყო მდინარე რიონზე არსებული ჰიდროკვანძის რეაბილიტაცია. ეს გახლავთ შენობა რომელიც ექსპლუატაციაშია 1959 წლიდან და ამ პერიოდის განმავლობაში არასდროს ჩატარებია კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რის გამოც წყალდიდობის დროს, ქალაქი რეალურად იდგა დატბორვის საშიშროების წინაშე. პროექტის ფარგლებში, რომლის ღირებულებამ 1,4 მლნ ლარი შეადგინა, შპს „საქართველოს მელიორაციამ“ განახორციელა ჰიდრონაგებობის სრული რეკონსტრუქცია: ჩატარდა ყველა საჭირო სამუშაო იმისთვის, რომ შესაძლო წყალდიდობების შემთხვევაში, ნაგებობა მზად იყოს წყლის მაქსიმალური მოცულობის გასატარებლად.

მშვიდობის ქუჩაზე, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ახალი ცენტრი გაიხსნა. ქალაქ ფოთში სასაწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურს საკუთარი შენობა წლების განმავლობაში არ გააჩნდა. ახალი ცენტრი გახლავთ 7 სამედიცინო ბრიგადაზე გათვლილი, აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით და ტექნიკით. პროექტის ღირებულებამ შეადგინა 371 ათასი ლარი. ამავდროულად საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის სამსახურმა ფოთის ცენტრს გადასცა კატასტროფის მედიცინის ახალი მანქანა, რომელიც აღჭურვილია უახლესი სამედიცინო აპარატურით და უზრუნველყოფს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა ტრანსპორტირებას უფასოდ.

მალთაყვის დევნილთა დასახლებაში, გაიხსნა ახალი საბავშვო ბაღი, გათვლილი 100 აღსაზრდელზე. ბაღში დასაქმდნენ აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონები. პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 513 ათას ლარს.

2018 წელს გაზიფიცირდა 5 საბავშვო ბაღი. პროექტის ღირებულება შეადგენს 180 ათას ლარს. სკოლამდელი დაწესებულებების გაზიფიცირების და გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოები, ეტაპობრივად ყველა საბავშვო ბაღში განხორციელდება.

ნიკო ნიკოლაძის საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, სრულიად განახლდა ნიკოლაძის კოშკი, სადაც თავისი მოღვაწეობის წლებში იგი, როგორც ქალაქის თავი ცხოვრობდა. ნიკოლაძის კოშკის სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები კულტურის სამინისტროს შუამდგომლობით, ფონდმა „ქართუმ“ დააფინანსა 470 ათასი ლარით. დასრულდა თანადგომის სახლის რემონტი, სადაც ყოველდღიურად 200 ადამიანი უფასოდ იკვებება. პროექტის ფარგლებში განხორციელდა სადემონტაჟო, შიდამოპირკეთების და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები. დასრულდა ნინო ჟვანიას ქუჩაზე არსებული კრივის სკოლის რემონტი და სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. პროექტის ღირებულებამ 550 ათასი ლარი შეადგინა.

ურბანული რეკონსტრუქციისა და განვითარების პროექტის ფარგლებში, ქალაქ ფოთში, ზერაგიას ქუჩაზე დაიწყო სპორტული დარბაზის და საცურაო აუზის მშენებლობა. კონტრაქტის ღირებულებაა 14,5 მლნ ლარი. რაგბის სტადიონის მიმდებარედ, საცურაო აუზის და 350 ადამიანზე გათვლილი ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობით, შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველასთვის. აღნიშნული პროექტი დასრულდება 2019 წელს.

მიმდინარეობს მალთაყვის სანაპირო ზოლის მშენებლობის მეორე ეტაპი, წყალარინების სისტემის და წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, რომელიც სამწუხაროდ ნელი ტემპით მიმინარეობს და შექმნილი დისკომფორტისათვის კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი ჩვენს მოსახლეობას.

სრულდება სტადიონის მშენებლობის პირველი ეტაპი და მიმდინარე წელს პარალელურ რეჟიმში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მოაწყო მინდვრის ახალი საფარი.

სიახლეებია კერძო სექტორშიც, ქალაქ ფოთში ორი ახალი სამკერვალო ფაბრიკა აშენდა, სადაც ჯამში 1500 ქალბატონი დასაქმდა. 2018 წელს ფოთში კომპანია „აჭარატექსტილეს“ უახლესი საერთაშორისო სტანდარტების მქონე სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნა. პროექტი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში განხორციელდა. კომპანიამ უკვე განსახორციელა 25 მილიონი ლარის ინვესტიცია და დამატებით 15 მლნ ლარის დაბანდებას გეგმავს.

ორიოდ სიტყვით სამომავლო პროექტებსაც მინდა შევეხო რომელიც 2019 წლიდან განხორციელდება ჩვენს ქალაქში. პირველ რიგში ეს იქნება კუნძულის სანაპირო ბულვარის მშენებლობა და ცენტრალური პარკის კეთილმოწყობა.

გაგრძელდება სტადიონის მშენებლობის მე-2 ეტაპი და აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ 2020 წელს ჩვენი ქალაქი უმასპინძლებს ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს ფეხბურთში.

2019 წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა და რემონტი, გზებზე ასფალტის საფარის მოწყობა, გაწმენდითი სამუშაოები მდინარე კაპარჭაზე, სპორტული ბაზების და ვეიკ-პარკის მშენებლობა, სატრანსპორტო პარკის მოწყობა დიდი ტვირთამწეობის მანქანებისათვის.

დასრულდა პროექტირება და მომავალ წელს დაიწყება ქალაქის შემოსასვლელში ახალი ოთხზოლიანი ხიდის და გზის მშენებლობა, რომელიც პირდაპირ ნავსადგურს დაუკავშირდება.

გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და ახალ წელს! ახალი 2019 წელი , თქვენთვის და სრულიად საქართველოს, ყოფილიყოს წარმატებებისა და ახალი მიღწევების წელი! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, სიხარულს, კეთილდღეობას!

საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს პარლამენტის წევრი ირაკლი ხახუბია

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია

ჩემს თანაქალაქელებს, სრულიად საქართველოს მინდა მივულოცო დამდეგი 2019 წელი.

შარშანდელმა წელმა, რომელიც სავსე იყო გამოწვევებით, ბრძოლებით, წიაღსვლებითა და გარკვეული წარმატებებითაც, კიდევ უფრო მკაფიოდ დაგვანახა, დაგვისახა ხვალინდელი დღის ამოცანები.

2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალი კონსტიტუციის მიღება, რამაც განსაზღვრა ქვეყნის საპარლამენტო მმართველობა, და საპრეზიდენტო არჩევნები. სალომე ზურაბიშვილის არჩევით ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ გამოხატა ურყევი ნება ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა.

გასულ წელს ფოთში დაიწყო მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, ქალაქს შეემატა რამდენიმე ახალი ობიექტი. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების კუთხით 2019 წელს კიდევ უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება დაიგეგმა.

ამდენად, მინდა ვისურვო ნაყოფიერი და წარმატებული იყოს, 2019 წელი. ჯანმრთელობა, ხვავი და ბარაქა, წარმატებები თითოეულ ფოთელს და ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქეს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
მერი გოჩა კურდღელია

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია:

მიიწია 2018 წლი, იგი კაცობრიობის ისტორიის კუთვნილება გახდა, თან მიაქვს განცდა სინანულისა, განცდა სიხარულისა, განცდა ზოგჯერ მარცხისა. მალე ახალი წელი მოდის, ახალი იმედების, ახალი წარმატებების მომტანი, თითოეული ადამიანისთვის გულში იმედის სხივად ჩაღვრილი.

ჩემო ძვირფასო თანაქალაქელებო, უდიდესი სიყვარულითა და კეთილი სურვილებით გილოცავთ დამდეგ 2019 წელს. ჯანის სიმრთელე, სულის სიმხნევე, ხვავი და ბარაქა გქონოდეთ თითოეულ თქვენგანს, მრავლება და ბედნიერება იყოს თითოეული თქვენგანის ოჯახში.

როცა ახალი წელი დგება, სურვილი გიჩნდება თვალი გადაავლო წარსულს და შეაფასო კიდეც. 2018 წელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წელია ქართველი ხალხის ცხოვრებაში. მან საუკეთესო არჩევანი გააკეთა და ქვეყნის მართვის პოსტი გამოცდილ და გონიერ ქალს ჩააბარა. ქალი პრეზიდენტი ქვეყნის იმიჯის გაძლიერებს შეუწყობს ხელს, ჩვენ ხომ ის ერი და სახელმწიფო ვართ, რომელმელსაც ქალი მეფე მართავდა უდიდესი წარმატებით ჯერ კიდევ რვა საუკუნის წინათ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, როგორც ამ ქალაქის მცხოვრებთა მიერ არჩეული ორგანო, გრძნობს რა დიდ პასუხისმგებლობას, თავს ვალდებულად თვლის იზრუნოს ამ ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. ჩვენ, ხალხთან ურთიერთანამშრომლობითა და ურთიერთშეთანხმებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ქალაქის სატკივარი თითოეული ჩვენგანის სატკივარი იყოს, გვქონდეს განცდა, რომ გაკეთებული სრულებითაც არ არის საკმარისი. ახალი წელი ახალ იმედებს ბადებს, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი წელი არ გვცვლის ჩვენ, ჩვენ უნდა შევცვალოთ იგი, ჩვენ უნდა ვაქციოთ ჩვენი იმედები და მოლოდინი რეალობად. იმედის რეალიზაცია კი მხოლოდ შრომით ხვდება.

2018 წელს ბიუჯეტის ფარგლებში უამრავი პროექტი განხორციელდა, თუმცა, ეს ძალიან ცოტაა იმ საჭიროებებიდან გამომდინარე, რაც ჩვენ ქალაქს სჭირდება. კარგად გვესმის თქვენ მიერ მონიჭებული ნდობა ჩვენდამი, ამიტომაც გვაქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გრძნობა გაცნობიერებული. 2019 წელს ბევრი სიახლე იქნება ქალაქში, ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი ხომ ადამიანებზე ზრუნვა, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებაა, მისი ბედნიერი მომავლის უზრუნველყოფაა. ჩვენი ქალაქის მცხოვრებლებს თავიანთი შრომითა და ღვაწლით დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში და სწორედ ასეთი ერთობით მივაღწევთ შედეგს - იქნება საქართველო ძლიერი და გაბრწყინებული.

ჩემო ძვირფასო თანაქალაქელებო, 2019 წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისთვის, თითოეული მისი მოქალაქისთვის ბედნიერების წელი, მხოლოდ წარმატებები, მხოლოდ გამარჯვებები დაგბედებოდეთ, წინსვლა და გამარჯვება თქვენ!

მრავალჯამიერ ხარობდეს ქართველი ერი!

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
ირაკლი კაკულია

საქართველოს ევროპული არჩევანი
ფოთელთა მოლოდინი

საქართველოს პრეზიდენტად დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავლის, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის არჩევის გამო

საპრეზიდენტო არჩევნები წინგადადგმული ნაბიჯია ევროპული ღირებულებების აღიარების თვალსაზრისით. საქართველოს პირველი ქალი პრეზიდენტი -რუსეთიდან, დევნილ ემიგრანტთა ოჯახში პარიზში დაბადებული და აღზრდილი, ევროპული ტიპის პოლიტიკოსი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ქვეყანას ახალი რეალობის წინაშე აყენებს. ფოთელებს კი ორმაგი სასიხარულო საბაბი გვაქვს-ფოთის აღმშენებლის, მსოფლიო დონის მოაზროვნისა და მოღვაწის-დიდი ნიკო ნიკოლაძის შთამომავლი სალომე ზურაბიშვილი გააგრძელებს დიდი წინაპრის გზას და დაგვეხმარება ქალაქისათვის სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში. ასევე, იმედი გვაქვს მშობლიურ ქალაქს ვალში არ დარჩება კოლხეთის მინდიად წოდებული ცნობილი აკადემიკოსის, ალექსანდრე მოწერელიას შვილიშვილი, სრულიად ახალგაზრდა კაცი - სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორი ალექსანდრე მოწერელია. დასანანია, რომ საქართველოს საზღვაო კარიბჭე - საზღვაო სავაჭრო პორტი ტერმინალად იქცა და ქალაქს წაართვეს განვითარების პერსპექტივა. მრავალ მიზეზთა გამო დიდი ნიკოლაძის კონცეფცია ფოთის ,,აბრეშუმის გზის" ფორფოსტის შესახებ დამუხრუჭდა, რამაც გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. შეჩერდა ტრანსკონტინენტური პროექტების განხორციელება, მათ შორის ,,აბრეშუმის გზის" აღორძინების -რკინიგზით და ნავსადგურით ნავთობის გატარების მეგაპროექტების აღორძინება. ამიტომაც გასაგებია ფოთელთა მოლოდინი,რაც იმის საბაბს გვაძლევს ისტორიული პარალელები. თაობათა კავშირის უწყვეტობის თვალსაზრისით.

ქალაქი და ნავსადგური იყო ერთიანი ინტეგრირებული ორგანიზმი, სამწუხაროდ, იგი ,,ნაციონალების" მმართველობის დროს ერთი ამწის ფასად გაიყიდა და ქალაქიც მიტოვებულ სოფელს დაემგვანა. ახლი, ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობა ჩვენს აკვატორიაში არის რეალური,ასევე თავისუფალი სავაჭრო ეკონომიკური ზონა რეალურად უნდა ამოქმედდეს. ფოთისთვის დამოუკიდებელი სტატუსის მინიჭების საკითხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საპორტო ქალაქის აღორძინებისათვის ყველა პარამეტრით. 30 წელია ვიბრძვით რომ რეალურად დაიწყოს ეს საქმე, თუმცა, არც ერთმა მთავრობამ გულთან არ მიიტანა ფოთელთა სატკივარი. და, აი, გაჩნდა რეალური პირობა, რეალური შანსი ნიკოლაძისეული კონცეფციის აღორძინებისა. სალომე ზურაბიშვილი შეგვპირდა დიდი წინაპრის საქმეების გაგრძელებას და მისი მიზნების განხორციელებას, რომელსაც დიდი შესაძლებლობები აქვს პრეზიდენტის რანგში. როგორც ავღნიშნეთ, ჩვენს იმედებს ამყარებს ახალგაზრდა ფოთელის ალექსანდრე მოწერელიას -სამეგრელო-ზემოსვანეთის გუბერნატორის პოსტზე დაწინაურება, რომელიც განსაკუთრებული მონდომებით ეცდება რეგიონის და მშობლიური ქალაქის პრობლემების საკვანძო საკითხების მოგვარებას ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, რათა ჩქარი ტემპით გადაწყდეს საკითხები, რომლებიც მყისიერად შეცვლიან ადამიანთა ყოფას და გეოსტრატეგიული პრიორიტეტი გამოყენებული იქნება ქალაქის შემდგომი განვითარებისათვის, როგორც ამას ნიკო ნიკოლაძე იტყოდა - ფოთის მომავალი ყინულზე არ იწერება.

ამ იმედებით და მოლოდინებით გილოცავთ ახალ წელს ჩვენო ძვირფასო თანამოქალაქენო, გისურვებთ გეცხოვროთ ისეთ ქალაქში, ისეთ მეგაპოლისში, რაზედაც დიდი ნიკო ნიკოლაძე ოცნებობდა.

ფოთის ეძსმერი **რომან მელია**,
ახალი, ღრმაწყლიანი პორტის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი

ჯემალ გერსამია.

ირაკლი ალექსანდრეს ძე მოწერელია
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწე, ფოთის ვიცე მერი წლების განმავლობაში ირაკლი ალექსანდრეს ძე მოწერელია. მან ორი საუკუნის მიჯნაზე წარმატებით იღვაწა მშობლიური ქალაქისა და ქვეყნის აღმშენებლობისათვის და ღირსეული კაცისა და მოამაგის სახელი დატოვა.

ირაკლი მოწერელია დაიბადა 1942 წელს, ქ. ფოთში, კოლხეთის მინდიად წოდებულ, ცნობილი მეცნიერის, აკადემიკოს ალექსანდრე მოწერელიას ოჯახში, რამაც იმთავითვე განსაზღვრა მისი მეცნიერული მოღვაწეობის გზა. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო კოლხეთის საცდელ მეურნეობაში, რომელიც ცნობილი იყო ქვეყნის მასშტაბით. აქვე განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას მელიორაციული განხრით.

ახალგაზრდა კაცის სულიერ, პიროვნულ ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა იქონია განსაკუთრებულმა ოჯახურმა გარემომ-დიდი მეცნიერი მამის რჩევებმა და შესანიშნავმა ბიბლიოთეკამ. იგი ერთნაირად ეუფლებოდა, როგორც მეცნიერულ, ასევე-მსოფლიო ლიტერატურულ კლასიკოსთა ნაშრომებს ფილოსოფის, ისტორიის, არქეოლოგიისა და სხვა დარგებში, რამაც განსაზღვრა მისი განათლების მრავალმხრივობა, სახელმწიფოებრივი აზროვნება, ზრუნვა უკეთესი მომავლისათვის.

ირაკლი მოწერელიას ინტელექტი და მონდომება შეუმჩნეველი არ დარჩენილა და სულ მალე იგი ფოთის ახალგაზრდობის ლიდერად აირჩიეს. ამის შემდეგ დაიწყო მისი წარმატებული პოლიტიკური საქმიანობა. სრულიად ახალგაზრდა კაცს მარტვილის - (საკმაოდ დიდი რაიონის) თავკაცობა ანდეს, სადაც მან სრულად გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი და რეგიონი დააწინაურა ყველა ეკონომიკური პარამეტრით. მას არც სულიერება დავიწყნია და მარტვილის ისტორიული ტაძარი აღადგინა, რაც საკმაოდ გაბედული ნაბიჯი იყო იმ დროისათვის და მოწინააღმდეგებიც გამოუჩნდნენ.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა მისი მოღვაწეობა მშობლიურ ქალაქში მერის მოადგილის რანგში. აღასნიშნავია მისი ახლებური ხედვა, კომპეტენტურობა, პრინციპულობა, ადამიანთა ბედით დაინტერესება, ამიტომაც მას განსაკუთრებულიადგილი ეკავა ქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ფოთს ჰქონოდა დამოუკიდებელი ქალაქის სტატუსი, დიდი საპორტო პერსპექტივა - როგორც ევრაზიისა და ,,აბრეშუმის გზის" ფორფოსტს, თავისუფალი სავაჭრო ზონისა და ტურიზმის განვითარების გეგმა. ის კარგად იცნობდა დიდი ნიკო ნიკოლაძისეულ ფოთის განვითარების კონცეფციას, გულმოდგინედ სწავლობდა მის უდიდეს სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას, ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს, იმას, რისი გაკეთებაც ვერ მოასწრო ფოთში ამ მართლაც ბუმბერაზმა პიროვნებამ. ყოველივე ამას უამრავი კვლევა და პუბლიკაცია მიუძღვნა.

ირაკლი მოწერელია ილტვოდა სიახლისა და პროგრესის დანერგვისაკენ, დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებისათვის და თავდაუზოგავი შრომის მაგალითს აძლევდა ახალგაზრდებს. ვისაც კი მასთან უმუშავნია მუდამ ემახსოვრება საქმისადმი ერთგულება, თავდადება. ის იყო ახალგაზრდების მეგობარი, მრჩეველი, ობიექტური, მართალი და პრინციპული პიროვნება.

ირაკლი მოწერელიამ დიდებული ოჯახი შექმნა, იყო კარგი მეუღლე, მამა და ბაბუა. სიცოცხლის ძაფი არ წყდება - მისი ნიჭი და გენი შვილებში, შვილიშვილებში გრძელდება. დიდი ბაბუას სეხნია- ალექსანდრე მოწერელია სამეგრელო-ზემოსვანეთის გუბერნატორია და აგრძელებს დიდ ოჯახურ ტრადიციებს ქვეყნის მსახურებისა. სამწუხაროა, რომ ბატონი ირაკლი ვერ მოესწრება შვილის წარმატებებს, რომელზედაც მთელი ცხოვრება ოცნებობდა.

დასანანია, რომ ნაადრევად წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ფოთელი, რომელსაც ბევრი სასიკეთო საქმის კეთება შეეძლო და ამიტომაც დააკლა ქალაქს-ფოთსა და ფოთელებს.

როცა ადამიანი მიდის ამ ქვეყნიდან, მაშინ უფრო ვგრძნობთ პიროვნების ღვაწლს ერის, ქვეყნის, და, უპირველესად, მშობლიური ქალაქის წინაშე. ამიტომაც მისი სახელი და ხსოვნა მუდამ დარჩება ფოთელთა გულში.

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ფოთის საკრებულო

გამოსათხოვარი

ბატონ ირაკლი მოწერელიას ხსოვნას

თუკი რამ არის გარდაუვალი ამ წუთისოფლად, ეს სიკვდილია, ყოველად უცილობელი და უღალატო.. ჩვენმა გონებამ ეს იცის, მაგრამ მაინც სიკვდილის ყოველ მოვლინებას აღვიქვამთ, როგორც მოულოდნელსა და თავზარდამცემ ტრაგედიას..

თქვენ მოგმართავთ ბატონო ირაკლი,,, ამ გაცვეთილ ჭეშმარიტებას თქვენ კი არ გეუბნებით, ჩვენ თავს ვამზადებთ იმისათვის, რომ ბოლო სიტყვა გითხრათ, როგორმე მოვაბა სათქმელს თავი, მოვაგროვო დაბნეული თუ გაბნეული განცდები და გითხრათ ის სიტყვა რომელსაც აღარ გაიგონებთ და აღარც გჭირდებათ... ვინაიდან იმ სულთა საუფლოში,რომლის ბჭენიც შეაღეთ, ამქვეყნიურ სიტყვებს არც აზრი აქვთ და არც ფასი..

თანდაყოლილი თავმდაბლობისა და მოკლრძალებისა გამო მუდამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდით, არასოდეს მიელტვოდით ჯილდოებსა თუ რეგალიებს, ტაშსა თუ ფარისევლურ ურთიერთდამოკიდებულებებს..

ბედნიერება მხვდა წილად თქვენთან თანამშრომლობისა.. ეს გახლდათ განუწყვეტელი სწავლისა და სულიერი გამდიდრების პროცესი,რომ ყოველი საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანო და არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა..

ბოლო წუთამდე მჯეროდა, რომ დაძლევდით, თქვენ ხომ არასოდეს გაშინებდათ არანაირი წინაღობა.. აქამდე თქვენ იყავით თქვენი მშობლიური ქალაქის ჭირისუფალი,ახლა კი თქვენ გჭირისუფლიბთ ქალაქი..

ბატონო ირაკლი ეს ჩვენი უკანასკნელი დიალოგია როცა მე უპასუხოდ მტოვებთ....

საოცარი იყო მისი გარდაცვალება.. ამ ქვეყნიდან წასვლა... ერთი წამითაც არ მისცემია უიმედობას, გული არ გასტეხია, არ ეპუებოდა უკურნებელ სენს. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მისი საფიქრალი მისი ქალაქი იყო..

ჩვენ რაღა ვუყოთ ჩვენს მადლიერებას თქვენდამი, სად მოვათავსოთ, სად მივუჩინოთ ღირსეული ადგილი?! არადა, ზედმეტად მადლიერების გამოხატვის მოსმენაც არ გიყვარდათ.. ყველაფერს ბუნებრივ ელფერს აძლევდით, აქ განსაკუთრებული არაფერი ხდებაო..

გემშვიდობებით ბატონო ირაკლი! დაუვიწყარი და სათუთად შესანახია ხსოვნა თქვენთან ყოველი შეხვედრისა, დიდი რწმენისა და იმედის მომცემი იყო ყოველჯერზე თქვენთან საუბარი...

თქვენ არა მარტო თქვენს უკეთილშობილეს ოჯახს დააკლდით, თითოეულ ჩვენთაგანს დააკლდით! ქალაქს, რომელზედაც ფიქრი დაუღალავად შეგეძლოთ!

მხოლოდ ფიზიკურად გვშორდებით, მაგრამ ტოვებთ კაცურკაცობის, მამულიშვილურ მართალ სიტყვას რისთვისაც ზურგი არასოდეს შეგიქცევიათ! დინების წინააღმდეგაც ბევრჯერ წასულხართ და არ ემსგავსებოდით მკვდარ თევზებს დინებას რომ თან მოაქვს ხოლმე...

მე არ გემშვიდობებით როგორც გარდაცვლილს! გეთხოვებით როგორც მოგზაურს, რომელიც უკვდავების გზას დაადგა.

ნახვამდის!

ირმა კეკელიძე

„ფაზისის" აკადემიის სხდომა
ელგუჯა ამაშუკელი- 90
ზაირა გაბელია -გუნცაძის პოეტური კრებულის „იდუმალი ქალი" პრეზენტაცია



30 ნოემბერს ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში (დირექტორი ნუნუ ჭელიძე) მართლაც უზვეულო სხდომა გაიმართა, რომელიც აკადემიის ფოთის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ქალბატონმა დოდო ხუხიამ გახსნა. მან დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი. მოკლედ მიმოიხილა დიდი ხელოვანის და არქიტექტორის ელგუჯა ამაშუკელის ცხოვრება და მოღვაწეობა. შემდეგ ნაჩვენები იქნა დოკუმენტური ფილმი, რომელსაც კომენტარს უკეთებდა დიდი არქიტექტორის მეუღლე პოეტი ლია სურმავა.

ელგუჯა ამაშუკელის მონუმენტური ქმნილებები ასევე ამშვენებს ჩვენს ქალაქს, მათ შორისაა კოლხი დედა, დიდების მემორიალი, ცოტნე დადიანის მონუმენტური ქმნილებები, რომლებიც მსოფლიო კატალოგშია შეტანილი. ივანე ჯავახიშვილის და ბორის პაიჭაძის ბიუსტები. ყველა ძეგლის არქიტექტორია ბატონი ვახტანგ დავითაია. თავად ცოტნე დადიანის ძეგლიც და ავტორიც უკვდავების თანაზიარია- სიმბოლურია - ლეგა არწივი ზეცისკენ ეწევა ეპოქალურ ზნეობრივ გმირს, რომლის ქანდაკებაც სამეგრელოს მოედანს ამშვენებს ფოთში.

აკადემიის სხდომაზე მოეწყო ზაირა გაბელია-გუნცაძის პირველი პოეტური კრებულის „იდუმალი ქალის" კრებულის პრეზენტაცია. პოეტის შემოქმედებაზე ისაუბრა მსახიობმა და რეჟისორმა რობერტ ნადარაიამ. აღსანიშნავია, რომ ქალბატონი ზაირა გახლავთ ქართული თეატრისა და კინოს ცნობილი მსახიობის ოთარ გუნცაძის მეუღლე, ამოიტომაც არაა გასაკვირი ხელოვნებასთან მისი თანაზიარობა.

ქალბატონ ზაირა გაბელიას საღამო დაუვიწყარი გახადა მისი მეგობრის, კარგი მუსიკოსისა და მევიოლინეს ქალბატონ დოდო ცეცხლაძის მონაწილეობამ. რომელმაც ასევე დაუკრა ჩონგურზე გიტარაზე, ფორტეპიანოზე. პოეტს მიესალმნენ და პირველი კრებულის გამოცემა მიულოცეს გერონტი კუხალეიშვილმა, გია დარჯანაიამ, ფოთოლა ქაჯაიამ, ომარ ხუხუნმა, ჭაბუკი ქოიავამ, ლუიზა ჩხეტიამ, დარეჯან გეფერიძემ, ირმა დოლბაძემ, ზოია გრაფიშვილმა, ზურა წულაიამ და სხვებმა.

თავად პოეტმა წაიკითხა საკუთარი ლექსები და მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას საღამოში მონაწილეობისათვის.

აღსანიშნავია ოჯახის რძლის, ია გორგოტაძის მონდომება წიგნის გამოცემის საქმეში. დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადეს პოეტის შვილებმა მალხაზ და ზაზა გუნცაძეებმა. შვილიშვილმა ოთარ გუნცაძემ წაიკითხა ბებიას ლექსები და ტაშიც დაიმსახურა.

შემდეგ სტუმარ-მასპინძლები ბანკეტზე მიიწვიეს.

ახალგაზრდებს გვიდოცავენ აჭარიდან ვიდრე ჩონგური აჟღერდებოდეს
ლევან ირემაძე-ხალხური საკრავების დიდოსტატი, ხალხური სიმღერების მოამაგე...

აჭარის მაღალმთიანეთი-დიდი გადასახედი ქრისტიანული სამყაროსი. აქედან შემოვიდა ქრისტეს მოციქული ანდრიაპირველწოდებული და მას შემდეგ ღვთის მადლი გადმოდის სრულიად საქართველოზე. ამ მხარეს თავისებური ხიბლი აქვს, არის მის ბუნებაში რაღაც პირველყოფილი და განუმეორებელი, თითქოს ყველა დროს შეიძლება შეესწრო აქ ყვავილობას, შემოდგომას და თოვლიან მწვერვალებს, ამიტომაც სხვა ეშხი აქვს აქაურ ცეკვას და სიმღერას, ისეთივე როული და ჩახვეულ-ჩახლართულია, როგორც აჭარის ბუნება.

ლევან ირემაძეს ბავშვობიდან დაჰყვა სიმღერის ნიჭი-ხალხური-კოლორიტული. ირემაძეების სოფელში დაიბადა, ხულოს რაიონში. ჩაუჯდებოდა უფროსებს და ზედმიწევნით გადმოქონდა რთული სიმღერების ვარიაციები. ქედის ანსამბლის წამყვანი სოლისტი იმითაც გახდა ცნობილი, რომ ხალხურ სიმღერების მოტრფიალე აჭარული ხალხური საკრავების შექმნის საიდუმლოსაც დაეუფლა, დაოსტატდა, გამოიწრთო და მართლაც ხელოვნების ნიმუშებს ქმნის, როგორც გარეგანი, ასევე შინაგანი შესაძლებლობლობებით. ინსტრუმენტიც გასაოცარად გეხმიანება, თითქოს ამბავს გიყვება და მღერის რადაცას - დასაბამიდან საიდუმლოებით მოცულს და ყოველივე დიდოსტატის დამსახურებაამან იცის რისგან, რომელი ხის რა მასალისაგან რა უნდა დამზადდეს, რა უფრო დამყოლია, რა გამოსცემს ხმას და ასე მოდის იგი შესაბამისობაზე მომღერლის ხმასთან. ეს თავისებური მელოდია ამ მხარის საკუთრებაა, მამა-პაპასგან მოედინება და მისი ნახელავი ფანდური და ჩონგური ამშვენებს ცნობილ ანსამბლებს, ცნობილ პიროვნებათა კოლექციებს, ათობით ოჯახებს. ჩამოკრავს თითებს სიმებს ბატონი ლევანი და თავადაც ამღერდება, ემღერება და მღერის შუახანს მიტანბეული, კეთილშობილი კაცი, მასთან ერთად მღერის მთელი ოჯახი - შვილები და შვილიშვილები, მოკლედ, მთელი სოფელი მღერის და ეს ხმები ისე ერწყმის აქაურობას-თოვლიან მწვერვალებს-უკვდავების სიმბოლოებს, როგორც ახლობელს, შინაურს.

დიდოსტატმა მისი ნახელავი გვისახსოვრა საახალწლოდ და დაგვლოცა.

დაე, დიდხანს ისმოდეს თქვენი ხმა და თქვენი სიმღერა ოსტატო!

დაე, გიძღოდეთ იგი იმ მარადისობისაკენ, რასაც ქართული ჰანგის უკვდავება ჰქვია.

ახალ წელს გილოცავთ ბატონო ლევან თქვენ და ყველა თქვენებურებს.

იხარეთ, იღღეგრძელეთ!

მამუკა აბრალავა

ფოთელ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდი „ჭაბონამა" - საქართველოს ჩემპიონი

სამოყვარულო ფეხბურთი

მიმდინარე წლის 16 დეკემბერს ქალაქ თბილისში გაიმართა ფინალური მატჩი სამოყვარულო ფეხბურთში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისის „უქიმერონი" და ფოთის „ჭაბონამა". ფოთელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ჩინებულად ჩაატარეს ეს მატჩი და დაძაბულ ორთაბრძოლაში მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 3:2 და გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. ფოთელთაგან თავი გამოიჩინეს ნიკოლოზ კვაჭაძემ და გიორგი ფარდალავამ.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს „ჭაბონამას" ფეხბურთელებს, მწვრთნელ დათო ლოლუას მიღწეულ წარმატებებს.

სამადლობელი რედაქციისაგან

ჩვენი რედაქციის საუკუნოვანი შენობის შენარჩუნება არაა იოლი საქმე. წინათ შეგვეძლო პატრონობა, ახლა კი ღვთისა და კეთილი ადამიანების იმედად ვართ. შენობა, რედაქციასთან ერთად, გაჭირვებულ ვაიმევახშეთაგან სახლ-კარგაყიდულ ადამინთა თავშესაფარიცაა, რომელთაც არა აქვთ საშუალება, რომ შენობა შეაკეთონ, თანაც იგი ზღვასთან მისასვლელ გზაზეა და ელფერს უკარგავს აქაურობას.

ბოლო დროს მერიამ ნაწილობრივ შეაკეთა შენობის სახურავი, მაგრამ ამასწინანდელმა ქარმა ბევრი ე.წ. შიფერი ააგდო და ბევრს ახალგარემონტებული ოთახები დაუზიანა.

მერიის ცენტრის მუნიციპალიტეტის-(**სანდრო ქუშაშვილი**) შესაბამისმა სამსახურმა ოპერატიულად შეაკეთა სახურავის დაზიანებული ადგილები, მაგრამ როგორც ეს თავად სანდრო ქუშაშვილმა აღნიშნა, თავის საქმო დასკვნაში-დროებითია და სერიოზულ შეკეთებას მოითხოვს. იმედია, მერია გაითვალისწინებს ამას და დაგვეხმარება საქმის ბოლომდე მიყვანაში.

მეხანძრეთა ღვაწლის დაფასება
საიმედო ფარი

ამ ხატოვანი სიტყვით გამოხატავდნენ სიყვარულსა და ნდობას ნაბადის უბნის მცხოვრებლები, ამავე უბნის მეხანძრეთა მიმართ.

განსაკუთრებული მამაცობითა და სასაზრიანობით გამოირჩეოდნენ ნაწილის უფროსი ვალტერ აფაქელავა; ოცმეთაურები - ჟორა ქვარცხავა, ზაზა მაშავა; ათმეთაური - იაშა მამფორია; მძღოლი ნესტორ სარსანია და სხვები... ისინი ხომ თავდაუზოგავად და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებითაც კი ებრძოდნენ გამძვინვარებულ ხანძრის სტიქიას, რაც მუდამ დაუვიწყარი იქნება ნაბადის უბნელებისათვის. მათ ხომ არაერთხელ გადაურჩენიათ ხანძრით განადგურებისგან საცხოვრებელი სახლები და მატერიალური ფასეულობანი. ეს ვაჟკაცები ყოველთვის წინა ხაზზე, საბრძოლო პოზიციაზე იდგნენ ქალაქის მოწინავე მეხანძრეებთან ერთად და ერთმანეთს უწილადებდნენ სტიქიაზე გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს.

... დიახ, არიან ჩვენს ქალაქში ისეთი ვალმოხდილი ადამიანები, რომლებიც დღისით თუ ღამით, ქარსა და წვიმაში მუდამ ფხიზლად იდგნენ კერძო და სახელმწიფო ქონების ხანძრისგან დასაცავად.

ისინი დღეს სახანძრო დაცვის სისტემაში არ არიან, მაგრამ დიდი კმაყოფილების გრძნობით იხსენებენ წარსულს, და ასევე, დიდ კმაყოფილებას ანიჭებთ მათ მიმართ მოქალაქეების სიყვარული და პატივისცემა, რაც ახალ ძალასა და ენერგიას მატებთ.

ჩვენც ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეხანძრეებს წარმატებები ცხოვრებაში, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე...

მადლიერი ნაბადლები

ვულოცავთ! შალვა მამუკას -ძე საჯაია

დიდ ასპარეზზე ფოთის საფეხბურთო სკოლიდან

ფოთი-ფეხბურთის აკვანი ბევრი სახელოვანი სპორტსმენის გამზრდელია და ეს ტრადიცია გრძელდება-ფეხბურთელთა ახალი თაობა წარმატებით ასპარეზობს როგორც ქალაქში, ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.შალვა საჯაიას პირველი წარმატებები ფოთის საფეხბურთო სკოლას უკავშირდება. იგი სიყვარულით იხსენებს მწვრთნელებს: კახა ეფრემიძეს, ლერი ხორავას, ნუგზარ ლემონჯავას, რომელთაც გზა დაულოცეს დიდი ასპარეზისკენ.

შალვა 4 წელია რაც თბილისის საფეხბურთო სკოლაში გადაიყვანეს, რომელსაც ვალერი გაგუა ხელმძღვანელობს და გამოირჩევა, როგორც სპორტული წარმატებებით, ისე სწავლით, ქცევით, კულტურით, ჰუმანურობით და კომუნიკაბელურობით. გუნდი წარმატებით გადის საერთაშორისო ასპარეზზეც. ამასწინათ გუნდმა მე-2 ადგილი დაიკავა რესპუბლიკის ჩემპიონატზე. წინაა საინტერესო სპორტული მიღწევები. ახალ გამარჯვებებს ვუსურვებთ ფოთელ ჭაბუკს, დიდ სპორტულ ასპარეზზე, რისთვისაც იგი ყველაფერს აკეთებს, რაც ასე ეამაყება მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს.

რეგიონალური ტურნირი ფეხბურთში

სპორტის დამსახურებული მუშაკის, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის" ყოფილი კაპიტნის, პეტრე ზამბახიძის თასზე

18-23 ოქტომბერი, 2018 წელი

საქართველოს ფეხ ურთის ცის კაბადონზე კაშაკაშაა ვარსკვლავად ენთო პეტრე ზამბახიძე. იგი იყო განუმეორებელი, რომელიც აშკარად უსწრებდა დროს. უზარმაზარი ავტორიტეტი ქვეყნის, ერის ქალაქის დიდი სიყვარული ამოძრავებდა მას.

პეტრე ნიკიფორის ძე ზამბახიძე დაიბადა 1917 წლის 29 მაისს, მოსამსახურის ოჯახში. ის ბავშვობის ასაკიდან გაიტაცა სპორტმა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში ბევრი წამოწყების თავკაცი, მეთაური და ლიდერი იყო არა მარტო იმ წლებში, როდესაც ფოთის სპორტკომიტეტს ხელმძღვანელობდა, არამედ მაშინაც, როდესაც უშუალო კავშირი სპორტკომიტეტთან არ ჰქონდა. ალბათ გაგვიჭირდება დავასახელოთ მეორე ისეთი ადამიანი, რომელიც არა მარტო ხელმძღვანელობდა ფოთში სპორტის განვითარებას, არამედ პირადად მეიღო მასში აქტიური, პრაქტიკული მონაწილეობა.

პეტრე ზამბახიძის თაობის ფოთელებს ახსოვთ მოზარდ ფეხბურთელთა გუნდი „კიმ" რომლის დამაარსებელი და უცვლელი კაპიტანი თავად გახლდათ. შემდეგ წლებში ფოთის პირველი გუნდის სულისჩამდგმელი, წამყვანი მოთამაშე და კაპიტანი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ბატონ პეტრეს (პეტიკოს), პირადი სპორტული მოღვაწეობა მხოლოდ ფეხბურთით არ განისაზღვრებოდა. მისი შემოქმედება სპორტში მრავალსახეობრივი იყო, მაგრამ ფეხბურთსა და ჭიდაობას მაინც გამორჩეულად ეკიდებოდა.

1939 წელს, ქალაქ ფოთში ჩამოყალიბდა ფეხბურთის ძლიერი გუნდი „კოლხიდა", რომელსაც ბატონი პეტრე ზამბახიძე ჩაუდგა სათავეში. ეს გუნდი ქალაქის 30-ნი წლების საფეხბურთო ტრადიციების მემკვიდრე და გამგრძელებელი გახლდათ. იმ წელს გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს პირველობის გათამაშებაში და ერთნაირი ანგარიშით (2-0) დაამარცხა ისეთი მაღალი კლასის გუნდები, როგორებიც იყვნენ თბილისის „დინამო" და სოხუმის „პიშჩევიკი". საქალაქო გაზეთი „მგზნებარე კოლხიდელი" მაშინ ხაზს უსვამდა პეტრე ზამბახიძის ვირტუოზულ თამაშს. გუნდში თამაშობდნენ: ა. ჟღენტი, კ. ხარბედია, ე. ჯიჯავაძე, შ. ხარჩილავა, კ. ანდღულაძე, მ. თურქიანი, ჟ. კომახიანი, გ. ქოქოსაძე, ს. ტაბიძე, ტ.ტუღუში და სხვები. გუნდმა მთელი სეზონი აღმავლობით ჩაატარა და საპრიზო ადგილი დაიკავა.

ბატონი პეტრე სპორტის არა ერთ სახეობას მისდევდა, იყო კალათბურთელი, ფრენბურთელი, მოჭიდავე და სპორტის ყველა სფეროში საკმაოდ ძლიერი სპორტსმენის სახელი ქონდა მოხვეჭილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ბრწყინვალე გამოსვლები ქართულ ჭიდაობაში. როგორც იმ პერიოდის პრესაში იწერებოდა, ის რეაქტიული სისწრაფით ატარებდა ქართული ჭიდაობის ურთულეს და ულამაზეს ილეთებს. ბატონი პეტრეს ჭიდაობა მაყურებელს ჭეშმარიტ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებდა, რის გამოც ხანგრძლივ ოვაციებს უმართავდნენ.

გარდა სპორტული ნიჭიერებისა, ის ბევრი დადებითი თვისებებით იყო შემკობილი. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად ახალგაზრდას სხვადასხვა ხელმძღვანელი თანამდებობა ეკავა, ერთი წუთითაც არ შეცვლილა, იყო თავაზიანი, თავმდაბალი, უშუალო, მისაბაძი, მეგობრული, ხელგაშლილი, პურადი, კეთილშობილი. დაჯილდოებული იყო იუმორის დიდი გრძნობით, გონებამახვილობით.

პეტრე ზამბახიძე,როგორც ნიჭიერი ორგანიზატორი, ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარედ დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან გამოავლინა ნამდვილი ხელმძღვანელის უნარი და ენერგია. მისი მჭქეფარე საქმიანობის შედეგად ბევრი რამ კარგი გაკეთდა. პეტრე ზამბახიძემ შეძლო ფიზკულტურული მოძრაობისათვის მასობრივი ხასიათი მიეცა და სპორტის არაერთი მივიწყებული სახეობა გამოცოცხლებინა. პეტრემ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკაში ერთერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობის- იპოდრომის მშენებლობაში, რომელიც შემდეგ სამწუხაროდ ზღვამ წალეკა.

პეტრე ზამბახიძის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით იმ დროს ჩვენს ქალაქში აღორძინდა ქართული ხალხური სპორტის ყველაზე ვაჟკაცური და მომხიბლავი სახეობა - ცხენოსნობა. იგი მხარში ამოუდგა ამ საქმის დიდოსტატებს და ენთუზიასტებს კ. შურღაიას, ი. ლოვპაჩეს და სხვებს. ამას ის შედეგი მოყვა, რომ 1947 წელს ფოთელი ცხენოსნები რესპუბლიკურ თასს დაეუფლენ, პეტრე კი საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და წარჩინებული სპორტსმენის სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა.

პეტრე ზამბახიძემ, მეუღლესთან - თამარ შონიასთან ერთად აღზარდა 3 შვილი - ქალბატონი დინა, საშურა და მერაბ ზამბახიძეები. განსაკუთრებული სათნოებით, სიკეთით, სილამაზით გამოირჩეოდა ქალბატონი დინა, რომელიც ძალიან ადრე დააკლდა თავის ოჯახს. 60-იანი წლების ფოთელებს კარგად ახსოვთ პეტრეს უფროსი ვაჟი საშურა ზამბახიძე - პიროვნული თვისებებით და გამორჩეული სპორტული მონაცემებით ცნობილი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ფოთის ცხოვრებაში თავისი გამორჩეული ადგილი ქონდა და იმ თაობის ახალგაზრდობის ლიდერი გახლდათ. მერაბ ზამბახიძე, ბატონი პეტრეს უმცროსი ვაჟი გახლავთ. იგი წლებია თავის ოჯხათან ერთად თბილისში ცხოვრობს და მოღვაწეობს, მაგრამ ერთი წუთითაც კავშირი არ გაუწყვეტია თავისი ადგილის დედასთან - ფოთთან და ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდია თბილსში მცხოვრებ და მოღვაწე ფოთელებსა და მის მშობლიურ ქალაქს შორის.

პეტრე ძამბახიძის ოჯახურ ტრადიციებს აგრძელებენ მისი შვილები და შვილთაშვილები: ზამბახიძეები, აბდუშელიშვილები, ბოხუები და ასე იწერება ამ დიდი გვარის ახალი ისტორია.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური

პოეზიის ფესტივალი და თევზჭერის ტურნირი „ოქროს ლოქო- 2018" ფოთში

2018 წლის 30 ოქტომბერი, მზიანი და ღიმილიანი , ნამდვილი ოქროსფერი შემოდგომა, მდინარე რიონის სანაპიროზე თავი მოეყარათ თანამდროვე პოეტებს, მწერლებს,ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს, თევზჭერის ტურნირში მონაწილეებს და ამ ლამაზი ზეიმის ხილვის მსურველებს. ტანაყრილი კვიპაროსებისა მხარგაშლილი ჭადრების ჩეროში იდგა მხატვარ **ბორის პაპასქუას** მიერ დამზადებული აფრააშლილი გემის მოდელი, რომელსაც გვერდს უმშვენებდა ასევე მის მიერ ნიჟარებით სპციალურად შექმნილი, მეთევზეების სანუკვარი პრიზი-„ოქროს ლოქო", ვერცხლის ფარფლებით დ ოქროს ულვაშებით.

ფესტივალის და ტურნირის ორგანიზატორი გახლდათ ჟურნალ „ორნატის" დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი, მრავალი ლამაზი წამოწყების ინიციატორი, ჩვენი თანაქალელი მწერალი **ჭაბუკი ქოლიავა**. თანაორგანიზატორი კი ტელეკომპანია „მე-9 ტალღა" და მისი დირექტორი **გია სალია**. ამ საოცარი, ემოციებით დახუნძლული ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, ფონდი „ქველმოქმედი-2014" და არტგალერეა-34. იქვე ჭადრებზე ეკიდა ლამაზი ბანერი, რომელიც სპეციალურად ამ ფესტივალისთვის დაამზადა ბათუმის პოლიგრაფიული ცენტრის დირექტორმა **ზურაბ კალანდარიშვილმა**.

ფესტივალის ლამაზად წარმართვაში საკუთარი თანამონაწილეობით მხარდაჭერა გამოხატეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ფარეშიშვილმა**, საკრებულოს წევრმა **მალხაზ ფოჩხუამ**, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ **დავით ასათიანმა**, სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონალური კომიტეტის თავჯდომარემ **როლანდ შონიამ**, რომელმაც კონსტანტინე გამსახურდიას და საკუთარი ლექსები წაიკითხა.

ფესტივალს მრავალი სტუმარი ჰყავდა, მწერლები და პოეტები, თბილისიდან, კახეთიდან, ჩხოროწყუდან, აბაშიდან, ლანჩხუთიდან, ბათუმიდან , ზუგდიდიდან და ა.შ. სადამოს საოცარი ხიბლი შეძინა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების მიერ წაკითხულმა ლექსებმა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ პოეტები თამაზ ჩადუნელი, თემურ ცერცვაძე, ალეკო დოლბაია,გიორგი ჯიჭონაია, კოტე ნაჭყებია, ბელა ქებურია, ინგა თუნთია, მაგული კვაჭაძე, ხათუნა გუჯაბიძე, როლანდ შონია, ჯიტა გულუა, ახალგაზრდა პოეტები გიორგი გულუა, თაკო ყორშია,ანა სურმანიძე, დათო ფიფია...რა თქმა უნდა მათთან ერთად მასპინძლებმაც ლამაზი ლექსებით გაამდიდრეს სადამო, ჭაბუკი ქოიავა, რონა ბუბუტეიშვილი, ოთარ აძიმბაია, იაზი ხორავა, ინგული მოსიავა, ზოია მარგველაშვილი და თქვენი მონა-მორჩილი ლუიზა ჩხეტია..ემოციებით დატვირთულს, შესაძლოა ვინმე გამომრჩა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი.... მერის მოადგილემ გიორგი ფარეშიშვილმა ორგანიზატორებს მადლობა მანანა ჩიტიშვილის ლექსით გადაუხადა და წარმატებები უსურვა.

სიმბოლური იყო,რომ ფესტივალის ტრიუმფალურ ფერხულში სხვებთან ერთად ჩააბმული იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირბი და სოციალურად დაუცველი ოჯახები, სცენაზე გამოვიდა 5 შვილის მამა მეუღლესთან და შვილებთან ერთად და ლექსი წაიკითხა.. წაიკითხა და გაგვიმხილა, რომ მომდევნო შვილს ელის..სიამაით განაცხადა ვაჟიაო და იქვე ექსპრომტად დააჯილდოვა იმზე გორგოტაძემ ხილით სავსე კალათით..

ამ სანახაობით მოხიბლულმა, ჭაბუკ ქოიავას უფროს მეგობარს, ფოთის კოლორიტს და საპატივცემულო პიროვნებას ილია ქვარცხავას მოსაფერებელ სიტყვებთან ერთად მინდვრის სცენაზე ათქმევინა ლექსი:

,,როცა ჩემს წარსულს ჩემს
აწმყოს ვადრი,
ერთადერთია რაც მედარდება,
აფსუს ეს ჭკუა მქონოდა მაშინ,
ანდა დღეს მომცა ის შემართება".

სადამოს 5 საათზე მოსული მაყურებელი ლექსებითა და სიმღერებით იყო გაბრუებული და წასვლა არც ახსოვდათ მხოლოდ მაშინ გამოერკვნენ, როცა დამის 10 საათზე ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე მჭექარედ აირეკლა ორგნიზატორების მიერ დასახელებული, ლოქოზე თევზჭერაში გამარჯვებული **მამია ნიკიფოროვის გვარი**.

დამსწრეთა ოვაციების ქვეშ აიტაცა ხელში გამარჯვებულმა საოცრი პრიზი, მომდიმარი „ოქროს ლოქო-2018", რომელიც დამის ნათურების ქვეშ თვალისმომჭრელად აალვარებდა ვრცხლის ფარფლებს და ოქროს ულვაშს.

ფესტივალის დასასრულს, ჟურნალ ,,ზღვაურის" რედატორმა, ცნობიერმა პოეტმა **ბელა ქებურიამ** პოეზიის ნამდვილი ფოიერვრკი მოაწყო და ბათუმელემის სახელით ორგანიზატორს **ჭაბუკი ქოიავას** საჩუქრად ძვირფსი ავტოკალამი აჩუქა და უსურვა ახალი ლამაზი პროექტების დაწერა.

მთელი საღამოს განმავლობაში რიონის სანპირზე გიზგიზებდა კოცონი,იფრქვეოდა შამფურზე აგებული მწვადების ოხშივარი და ისმეოდა ქართული ღვინო და იფრქვეოდა ლამაზი ქართული სადღეგრძელოები მრავალჟამიერის თანხლებით..სტუმრების გამასპინძლების ორგანიზაციულ ნაწილს ზური კვირკვაია, ვეღოდი აღასანია და მერაბ ჩაჩავა ხელმძღვანელობდნენ და ჭადრების ქვემოთ, მინდორზე გაშლილ სუფრაზეც ერთმანეთს ცვლიდა დალოცვა, ლექსი და სიმღერა.

ფესტივალზე ყველას ჰქონდა საშუალება წაეკითხა საყვარელი პოეტის თუ საკუთარი ლექსები, ემღერა, ეცეკვა თუ თეატრალური წარმოდგენა ეჩვენებინა...

ამ ლამაზი ღონისძიების სულისჩამდგმელისა ორგანიზატორის ჭაბუკი ქოიავას შესახებ მინდა გითხრათ, მას პოეზიის და ხელოვნების სხვა ფორმატის მრავალი ღონისძიება აქვს ჩატარებული როგორც ჩვენთან, ასევე სხვა ქალაქებში და რომელსაც ჩვენ, ,,ორნატელები" მუდმივად ვესწრებოდით.. სხვადასხვა დროს ამ ღონისძიებების მონაწილები ყოფილან **ოტია იოსელიანი, გენო კალანდია, მაყვალა გონაშვილი, გურამ ოდიშარია, რენე კალანდია** და ბევრი სხვა ცნობილი საპატიო ქართველი.

ფესტივალი ლამაზად წარმართა ფონდ „ქველმოქმედი -2014"-ის დამფუძნებელმა, ცნობილმა ჟურნალისტმა **ია გორგოტაძემ**, რომელსაც გვერდს უმშვენებდა ნიჭიერი ვაჟიშვილი, პოეზიის მოტრფიალე **ოთო გუნცაძე**. იგი შავ ჩოხაში გამოწყობილი კითხულობდა პატრიოტულ ლექსებს და არცაა გასკვირი, ის ხომ ღირსეული ბაბუის, ფოთის სახელმწიფო დრამატული თეატრის და ქართული კინოს ცნობილი მსახიობის ოთარ გუნცაძის შთამომავალია.

ამ დროს კი რიონის ხიდზე, ფორტუნის წყალობის და ლოქოს ამოყვანის მოლოდინში 24 მონაწილე ანკესების ხეივანში იყვნენ მოქცელები და ერთურთს ეჯიბრებოდნე სანუკვარი პრიზის მოსაპოვებლად..

ეს მხოლოდ თევზჭერის ტურნირი კი არ იყო, არამედ აგიტირება დასვენებისა და გართობის ტრადიციული ფორმების, კულტურულ საგანმანათლებლო ცხოვრებაში ახალგაზრდების აქტიური ჩართვის მოწოდება, რომ აუცილებლია ჯანსაღი ცხოვრების წესი, მარიხუანის, თრიაქის თუ სხვა მომწავლავი საშუალებების გარეშე, რომ ბოლო მოეღოს და აიკრძალოს ბრაკონიერობა, მდინარესა და ზღვაში ნაგვის ჩაყრას და დაბინძურება ყველამ გავაცნობიეროთ, რომ უფლის მიერ ნაჩუქარ ჩვენს ლამაზ ბუნებას გაფრთხილება, მოვლა და მოფერება სჭირდება.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, თუ ასეთი შთამბეჭდავი ღონისძიებები ხშირად ჩატარდება, მერწმუნეთ არანაირი თრიაქი და გამაბრუებელი საშუალება არ იქნება საჭირო ახალგაზრდების გასართობად, არც ჯალალედინის მიმდვარ მტრებს გავაცინებთ და არც ჭეშმარიტ გმირთა და მამულისთვის თავდადებულთა ჯალათებს. „ჩვენში კაი კაცს რომ იტყვიან,ის კაი კაცი ზნეობის ტყვეა." დემოკრატი და სიტყვის თავისუფლება სიძულვილს,ერთმანეთის ლანძღვას და ლაფის შესხმას როდი გულისხმობს, საქართველო ხომ პატარა ქვეყანაა და მხოლოდ სიყვარული, ზნეობა და მამულის ერთგულება გადაგვარჩენს..ამ სტატიასაც მუხრან მაჭავარიანის სიტყვებით დავასრულებ:

„დამიწდა ვინ იცის რამდენი,
თავისთავს ვინცა ვინ ეომა,
მოყმე და ასული ქართველი,
ნატანჯი ზნეობის ტყვეობით,
ქვეყანა დარჩება დამურას და
მერე მიდი და ეომე,
წახდება, წახდება მამული,
ტყვეობა რომ არა, ზნეობის."

ღმრთო, არ მოუშალო ქართველებს ზნეობის, ურთიერთგატანის, სიყვარულის და პოეზიის ნიჭი.

ლუიზა ჩხეტია
ფაზისის აკადემიის წევრი.
ფოთის საპატიო მოქალაქე.

ბიძინა ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სანამ „ნაცები" მობრუნებულან

დემოკრატიის გაკვეთილები „ოცნებისათვის"

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი დემოკრატიის გასაძლიერებლად, არჩევნები არ უნდა იყოს მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის და მისი კეთილდღეობის საშუალება.

ასეთი დემოკრატია, დემონოკრატიად იქცევა. არჩევნებში გამარჯვება თვითკმაყოფილებას არ უნდა იწვევდეს, რაც აუფასურებს აადამიანთა მხარდაჭერას, ნდობას, სწორედ, ამიტომ გადაწყვიტა ამომრჩეველმა მეტი პოლიტიკური დატვირთვა მისცეს მის ხმას, მის არჩევანს, ან არ მოდის არჩევნებზე ან არ გაძლევს ხმას, მაგრამ ეს უკმაყოფილება არ უნდა გახდეს ძალადობრივი რეჟიმის „ნაციონალთა" მხარდაჭერის

საბაბი-ეს დამანგრეველი ძალაა, რომელსაც ყველა ერთად გადავყვებით. ეს არაა მტრის ხატის ცნობილი ფორმულა, ეს რეალობაა, საშიში, დაუნდობელი, შურით, ბოღმით, რევანშის წყურვილით.

ქვეყნის მართვაში, ხალხთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომები სასწრაფოდ დუნდა იქნეს გამოსწორებული, ყველა საკითხი, მათ შორის სოციალური, მყისიერ რეაგირებას ითხოვს, საქართველოში უკვე ჩამოყალიბდა ორი ფენა --მდიდრების და ღარიბების, რაც უთანასწორობის განცდას ბადებს, ჩინოვნიკები ყველა რგოლში იღებენ ათასობით ხელფასებს და პრემია-დანამატებს, მათ შორის მთავრობაში სამინისტროებში, სხვადასხვა უწყებებში, ადგილობრივ ორგანოებში, სადაც ზოგან ლამის მთლიანად აითვისონ ბიუჯეტი ბიუროკრატიული აპარატების შესანახად. სხვა შეცდომებიც იქნა დაშვებული „ოცნების" მმართველობის დროს-უპირველესად ეს არის სამართლიანობის აღდგენის უგულვებელყოფა, არ დაისაჯნენ სახელმწიფო დამნაშავეები, მათ მისცეს ქვეყნიდან გაქცევის საშუალება. კოჰაბიტაცია კი უკუღმა შემოუბრუნდა ქართველ ხალხს, იგივე ძალა მოდის რევანშის წყურვილით, უფრო საშიში და დამანგრეველი. ვერ იქნა დაძლეული უმუშევრობა და სიღარიბე, ათასობით ადამიანები ცხოვრობენ საზღვარგარეთ, ძვირდება ფასების საწვავზე, პროდუქციაზე, უფასურდება ლარი, შესაბამისად არა საკმარისი საპენსიო უზრუნველყოფა. ცუდი რეზონანსი გამოიწვია მარიხუანას ლეგალიზაციამ და კანაფის წარმოებამ, სარალიძის და მაჩალიკაშვილის მოკლული შვილების საქმეთა არასათანადო გამოძიებამ. ქუთაისელები გაანაწყენა პარლამენტის გადასვლამ თბილისში, საბანკო სექტორის მევახშეობამ, ჩინოვნიკების კორუფციის ფაქტებმა, ხალხთან კონტაქტის გაწყვეტამ,

სოციალურად შეჭირვებულ ადამიანთა უყურადღებოდ დატოვებამ, ცუდმა დემოგრაფიულმა-სიტუაციამ, არის კატასტროფული მიგრაცია,-ვის ვუტოვებთ ქვეყანას, და, საერთოდ, შეიძლება მათხოვრების ქვეყანაში ბედნიერი იყოს კაცი?

ამომრჩევლის და არჩეულის ურთიერთობაში არის ერთი მთავარი პრობლემა - როცა ქვეყნის საქმეს არ აკეთებს ხელისუფალი, არაა გაწვევის მექანიზმი და ამიტომაც გარანტირებული აქვთ 4-5 წლიანი მოღვაწეობა, რაც პირადი კეთილდღეობისთვის საკმარისი დროა. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ერთგვარი მოლოდინი, რომ ბოლომდე ვერ გაიტანს თავისას და უფრო მეტიც, პროტესტის გამოხატვისას ხალხს ცხვირპირს ვერ დაამტვრევენ, როგორც გააკეთეს მოძალადე „ნაცებმა".

ეს არჩევნები გაფრთხილებაა, ოცნებისთვის, წინაა 2020 წლის საპარ-

ლამენტო არჩევნები. გრიგოლ ვაშაძის ხელისუფლებაში მოსვლით, იყო დესტაბილიზაციის საფრთხე, რასაც თვითონაც არ მალავდა - შეიწყალებს „ნაცრეჟიმის" შემოქმედთ, ნუთუ დაგვავიწყდა 1991-1993 წლების სამოქალაქო ომი, ომი რომელსაც გადაურჩა ქვეყანა 2003 წელს (შევარდნაძემ დათმო ხელისუფლება) დღეს სხვა რეალობაა, სამთავრობო ძალები ამას არ დაუშვებენ, მაგრამ არც ისაა დასამალი, რომ დესტაბილიზაციისთვის, საკმაოდ დიდი რესურსები აქვთ „ნაციონალებს". ფინანსური და მოძალადეთა მხარდამჭერების იმედი აქვთ და ყველაფერზე წამსვლელი არიან, გარეშე ძალებს კი აწყობთ კიდევ ერთი-არეულობა, რომელსაც ქვეყნის სახელმწიფოებრიობა საბოლოოდ გადაყვება.

ხალხმა, ამომრჩეველმა ეს უნდა გაითავისოს, სხვა გზა, სხვა გამოსავალი ახლა არ არის, „ოცნებას" კი მოუწევს შეცდომების აღიარება, ხალხთან დიალოგი და საქმის გამოსწორება. ხალხმა მოაცილა ქვეყანას სააკაშვილის რეჟიმი და, გამოდის, „ოცნებამ" ვერ შეძლო მისი საბოლოოდ დამარცხება, ამ მოძალადეთა პოლიტიკური ველიდან გაყვანა, დამარცხება მხოლოდ ერთი პარტიის საქმე არაა, ისევ ხალხმა, უნდა გადაწყვიტოს ქვეყნის ბედი და მისცეს „ოცნებას" შანსი ვითარების რადიკალურად შეცვლისა. რამეთუ წინა საპარლამენტო არჩევნები და პასუხიც მოეთხოვება საპრეზიდენტო არჩევნებში ხალხის კიდევ ერთი ნდობა უნდა იყოს „ოცნების" შემობრუნების დასაწყისი ყველა პარამეტრით. ამასთან მხოლოდ ერთი კაცის იმედად ყოფნა, რომელსაც ბევრმა უღალატა, უნდა დამთავრდეს, ამომრჩეველი პოლიტიკურად გაიზარდა, საჭიროა ახალი ძალების შემოყვანა, ახალი სახეები უნდა დამკვიდრდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ახალი ხედვით, ქვეყნის, ხალხის სამსახურის სურვილითა და პროფესიული შესაძლებლობებით 28 ოქტომბერი არის ხალხის და ხელისუფლების ურთიერთობაში გადამწყვეტი. გარდატეხის დასაწყისი, დრო განსჯისა და ფიქრისა, არჩევნების გაკვეთილები ბევრ რამეს გვასწავლის, ის არჩევნები, ამავე დროს რეფერენდუმია-საით მიდის საქართველო წინ მომავლისკენ, თუ უკან -წარსულისაკენ. ამიტომ, ბიძინა ივანიშვილი უნდა დაბრუნდეს ხელისუფლებაში, სანამ „ნაცები" მობრუნებულან.

მშენებლობა 21-ე საუკუნის პარამეტრებით

ახალი თაობის ბინები სრული რემონტითა და დიზაინური სურპრიზებით

ზურაბ გარუჩავა სამშენებლო კომპანია „HOCHBAU" ხელმძღვანელი

ჩვენი სახელოვანი თანაქალაქელი ზურაბ გარუჩავა დიდ საამშენმებლო კომპანიას ხელმძღვანელობს, რომელიც ბათუმსა და სხვა ქალაქებში აშენებს თანამედროვე ტიპის სახლებს, ბინებს, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობებს.

ეს არის კომერციული, უსაფრთხო საცხოვრებელი სივრცე. საქართველოს მხარეების განუმეორებელი მრავალფეროვნება არქიტექტურული ნაირსახეობითაა გამოხატული: სავანეთი გურია, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი... ასეა დასათაურებული სარეკლამო ჟურნალში საბინაო ფართები თანამედროვე დიზაინით და ეს უნიკალური შენობები ამშვენებს ბათუმს-შავი ზღვისპირეთის მარგალიტს.

ბატონი ზურაბი ყველასათვის ცნობილი, ძირძველი ფოთელების ალიკა გარუჩავასა და მარინა ხოფერიას ვაჟია.

ამასწინათ ჩვენ ვწერდით ამ ოჯახის პატარა წევრის, ალექსი თემურის ძე გარუჩავას დიდ მიღწევებზე საჭადრაკო ასპარეზზე, ვულოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს და კვლავაც წარმატებებს ვუსურვებთ გარუჩავების დიდ ოჯახს.

იმედია, ბატონი ზურაბ გარუჩავა ფოთშიც ააგებს თანამედროვე ტიპის სახლებს და ფოთელებიც გაიმიყენებენ ამ უნიკალურ შესაძლებლობას.

დეველოპერული კომპანია „HOCHBAU"

საკონტაქტო ტელეფონი: (+995) 577 90 10 96
(+995) 591 52 22 22(whatsapp/viber)
fb/ Hochbau.ge
ბათუმი, რუსთაველის გამზირი 13

ქალაქის კოლორიტები

ტრისტან მანიას მონატრება

ახალ წელს და 80 წლის იუბილეს გილოცავთ ძმაო ტრისტან!



მიდიან ჩვენი მეგობრები სადღაც შორეული, მარადიული გზით და ამ ცოდვილ მიწაზე რჩება მათი სახება ჩვენს აზროვნებასა და მ,ეხსიერებაში. ისინი რჩებიან თავიანთი ხასიათით, განსაკუთრებული საქმეებითა და სიყვარულის განსაკუთრებული ნიჭით. რამეთუ ,,დროს მიაქვს ყველა ძველი, ჩვენი კაცობის გარდა.” დაუვიწყარ მეგობართა შორისაა მართლაც კოლორიტული პიროვნება,კარგი ფოთელი, მამა და მეუღლე ტრისტან მანია. რამდენ რამეს ამბობს და გვახსენებს ეს გვარი და სახელი წინა საუკუნის 80-იან წლებში, როცა იგი მართლაც მუხლჩაუხრელი შრომით აყალიბებდა ქალაქისა და ქვეყნის სიყვარულის უბადლო მისაბაძ მაგალითს. უანგარო თავდადებული ღვაწლი. ნიჭიერება, მრავალმხრივი განათლება, კარგი ჟურნალისტი, სახელოვან ფეხბურთელთა გამზრდელი. გამორჩეული მწვრთნელი. პოლიციის ბავშვთა განყოფილების უფროსი, მათი გამზრდელი და მეგობარი. ეს ერთი კაცი მთელს ქალაქში ცელქ და უმართავ არასრულწლოვნებს პატრონობდა. დღეს რომ ლამის ასი კაცი ვერ უვლის.

ტრისტან მანია იყო ფეხბურთის უცვლელი კომენტატორი, ფოთში საქალაქო რადიოს დამაარსებელი. მისი გადაცემების წამყვანი და რედაქტორი. ისტორიის ბრწყინვალე მასწავლებელი. ნიჭიერი ჟურნალისტი, ჟურნალისტების მეგობარი და გვერდში მდგომი. იუმორით სავსე კაცი, მუდამ სტუმრიანი. ალალი და უღალატო, გული გვტკივა, როცა აღარაა ჩვენს გვერდით და ვერაფერი შეავსებს ამ დიდ სიცარიელეს. სურათს სურათი ემატება, როგორც მოგონების ნიშანსვეტი. მიდიან ჩვენი მეგობრები. ,,რაც მიწის იყო მიწაზე დარჩა, და რაც ცის იყო წავიდა ცისკენ.”

ახალ წელს და 80 წლის იუბილეს გილოცავთ, ძმაო ტრისტან, უშენოდ რომ ავდნიშნეთ ვიწრო წრეში. შენი ყანწი შევავსეთ და შენი სიტყვებიც გავიხსენეთ

,,იალაღს ვიყავ ბიჭებო,
მზე წითლად ამოდიოდა,
მე იქ რა გამაჩერებდა,
თქვენი ხმა არ მამდიოდა.”

იქნებ ჩვენს სუფრას უზიხარ, ღვინო ხომ არ გამოგელია, შობას გილოცავთ, ღმერთს ებარებოდე!

ბაღრი ბასილაია,
ზურაბ აბრალ;ავა

იზოლდა (დოდო) ხორავას ხსოვნას „მასწავლებელი, ზოგჯერ უშვილო, მაგრამ მრავალი შვილის მშობელი.”

გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, რომელმაც მთელი ცხოვრება მომავალი თაობების აღზრდას და განათლების სისტემის საქმიანობის სრულყოფას შეალია.

მან დიდი გზა განვლო რიგითი მასწავლებლიდან ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლის დირექტორის თანამდებობამდე და ყველგან დირსეული კვალი დატოვა. **დოდო ხორავა** აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობითაც გამოირჩეოდა და პარტიული-პროფკავშირულ დავალებებსაც დიდი პასუხისმგებლობითაც ასრულებდა, იყო პრინციპული, სამართლიანი, შეუვალი.ერთიანი მონდომებით ზრუნავდა ყველა მოსწავლის აღზრდა-განათლებაზე, კარგ პიროვნებად ჩამოყალიბებაზე. მას ძალიან უყვარდა პედაგოგის პროფესია ისე, რომ პირადი ცხოვრებისთვის ვერ მოიცალა. იშვიათია იყო ადამიანი ასეთი პასუხისმგებლობის გრძნობით.-მუდამ მოწესრიგებული, აკურატული, სისტემურად იმაღლებდა პროფესიულ ცოდნას. იყო მრავალმხრივი, თავისი ეპოქის ღირსეული შვილი, რომელსაც სწამდა უკეთესი მომავლის, რომლის საძირკვლად ახალგაზრდობის სწავლა - აღზრდის საქმის სრულყოფა მიაჩნდა და თავს არ ზოგავდა სასკოლო ცხოვრების სრულყოფისათვის. მისი თავდადება შესაფერისად იყო დანახული და დაფასებული. მისი აღზრდილები წარმატებული იყვნენ სამეცნიერო ასპარეზზე, მრავალი კონკურსის გამარჯვებულები, რაც ძალიან ახარებდა და სტიმულს აძლევდა, თუმცა, როგორც ავღნიშნეთ პირად ცხოვრებას მეორე პლანზე აყენებდა, ამიტომაცაა დასანანი და სევდიანი მისი წასვლა ამ მართლაც წუთისოფლიდან.

მშვიდობით, დოდო მასწავლებელო!

დაე, იმ ქვეყნად წინ მიგიძღოდეს სიყვარული თქვენი აღზრდილებისა, რომელთაც მიეცით ყველაფერი -უფრო მეტი, ვიდრე მშობელი აძლევს შვილს-სულიერი სამყაროს სიმდიდრე, ღმერთს ებარებოდე.

მეგობრები.



მეუღლე ნუნუ, შვილები: ირინა, ალქსანდრე, რძალი ლალი ხუადე. სიძე ზურაბ ერისთავი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი ალექსანდრეს ძე მოწერელია.

დაკრძალვა ხუთშაბათს, 27 დეკემბერს, თბილისში, საბურთალო, უნივერსიტეტის ქ. 8, ამაღლების სახელობის ეკლესია.

დაკრძალვა 14 საათზე. პანაშვიდი 25-26 დეკემბერს. თბილისი თამარაშვილის 2ა.

რეზო კვარაცხელიას ხსოვნას

კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს

სიყვარულის გზის მშენებელი

ზეციურ საუფლოში ამაღლდა კიდევ ერთი ღირსეული შვილი თავისი ქვეყნისა, რომელმაც კოლხი კაცის ყველა დიდებული თვისება ბოლომდე ატარა-ზნემაღალი, ყველას დამფასებელი და პატივისმცემელი, ამაყი, ვაჟკაცური, კეთილი, სპეტაკი და უღალატო. გაჭირვების დროს გვერდში მდგომი. როგორც კაცმა, მამის ვალიც აღასრულა და დიდ სიხარულს განიცდიდა, თუმცა, მეუღლის გარდაცვალებამ შეარყია, მაგრამ ცხოვრებამ მაინც ვერ გატეხა ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა გზის მშენებელთა კოლექტივს. ეს გზა იყო სიყვარულის და ურთიერთგაგების, მხარდაჭერის, რაც განაპირობებდა საერთო წარმატებებს და კარგ პროფესიონალთა გუნდის სახელს. მას ძალიან უყვარდა ფოთი და ფოთელები და ფოთელებიც ვალში არ რჩებოდნენ. მოულოდნელი იყო ყველასთვის ჯანღონით სავსე ხელმძღვანელის ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლა, მაგრამ სიკვდილი საბოლოო განაჩენი როდია, სიცოცხლე გრძელდება შვილებში და შვილიშვილებში-ძაფი არ წყდება და ხსოვნაც გაგრძელებაა კაცის სიცოცხლისა, რომელმაც წუთისოფლის ვალი მოიხადა და სიკვდილს იქითაც წავიდა-ახლი უცხო სამყაროსკენ - ,,რაც მიწის იყო, მიწაზე დარჩა, და რაც ცის იყო წავიდა ცისკენ.

მისი ცხოვრება ხალისით, პოეზიით და სიყვარულით იყო სავსე. მამა-პაპური გზის გამგრძელებელი, ტრადიციული, მართალია მთელი ცხოვრება ქალაქში გაატარა, მაგრამ არასოდეს გაუწყვეტია კავშირი მშობლიურ მხარესთან - წალენჯიხასთან, ნათესავებთან, რომლებმაც გააცილეს იგი უკანასკნელ გზაზე.

გზა არ მთავრდება- ადამიანთა ურთიერთობა მეხსიერების მუდმივობას ემყარება-ბევრჯერ მოგვენატრება-სინანულიც დაგვეუფლება-არყოფნა შემოეჩვია ჩვენს ყოფნას და ჩუმად მიიპარებიან ჩვენი მეგობრები - თითქოს ფეხისწვერებზე და გვახსენებენ, რომ უკვდავები არ ვრთ და ვიდრე ცოცხლები ვართ, უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი-რათა მარტო არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე.

ცხოვრება, დრო ბევრჯერ გაგვახსენებს ამ მართლაც კეთილშობილ კაცს, რომელიც ასე დაგვაკლდა და გული დაგვწყვიტა, რომ იყო ერთი დიდბუნებოვანი კაცი-რეზო კვარაცხელია, ვწუხვართ,

სხვა რა გზაა-ხსოვნის ჭიქა და საფლავთან მიტანილი ყვავილები.

მე-13 საგზაო-სამშენებლო ორგანიზაციის სახელით
ირაიდა ფაცია

ხსოვნა

ვეძი ვით არ იცხონებს ზღვასა,ჯერკელის და გასიერს
ისაც ხთმ მეზღვაურს საშობლოდ იკუთვნის

სერგო ბარამიძე



ქართველ მეზღვაურთა ცის კაბადონს მოწყდა მისი ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავი, ფოთის საზღვაო ნავსადგურის მცურავი ამწე ,,კრანის” კაპიტანი **სერგო ბარამიძე**.

სერგო ბარამიძე დაიბადა 1940 წელს ქ. ფოთში. 1958 წელს დაამთავრა ფოთის პირველი საშუალო სკოლა და ამავე წელს ჩაერიცხა ბათუმის საზღვაო სასწავლებელში, რომლის სრული კურსი წარჩინებით დაამთავრა 1964 წელს გემის მექანიკოსის სპეციალობით. სასწავლებლის დამთავრებისთანავე, განაწილებით სამუშაოდ გაიგზავნა კამჩატკის საზღვაო სანაოსნოში, სადაც მუშაობდა 1969 წლამდე გემის მექანიკოსად.

1970 წელს სერგო ბარამიძე დაუბრუნდა მშობლიურ ქალაქს და მუშაობა დაიწყო ფოთის საზღვაო ნავსადგურში გემის მექანიკოსად.

1970 წელს იგი იგზავნება უნგრეთში მცურავი ამწე ,,კრანის” მშენებლობაზე, შემდეგ იგი ინიშნება მის კაპიტნად და ამწე ,,კრანი” ჩამოყავს ფოთის ნავსადგურში, რომელსაც დაერქვა ,,ვანო ხოხობიას” სახელი.

სერგო ბარამიძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე მინდობილ საქმეს, იყო მეტად პრინციპული და მუხლჩაუხრელი მშრომელი, პატიოსანი და კეთილსინდისიერი. კოლექტივში სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, მას უსაზღვროდ იტაცებდა ზღვა და მისი ერთ-ერთი გამორჩეული სადღეგრძელო იყო ,,ზა ტეხ კტო ვ მორე”. იტყოდა და გადაჰკრავდა, ცოტა ლაპარაკი და მეტი საქმე იყო მისი ცხოვრების დევიზი.

70 წლამდე ერთგულად ემსახურა თავის საქმეს. მთავრობას უყურადღებოდ არ დაუტოვებია **სერგო ბარამიძის** ღვაწლი. და იგი 2003 წელს დაჯილდოვდა ღირსების მედლით.

სერგო ბარამიძე სამშობლოზე და ოჯახზე უზომოდ იყო შეყვარებული, განსაკუთრებით დიდ პატივს სცემდა მეუღლეს ლეილა ხასიას. იყო აფხაზეთის ომის მონაწილე. სიკვდილისათვის არაერთხელ შეუხედავს თვალებში საბრძოლო დავალების შესრულების დროს, მაგრამ არასდროს უკან არ დაუხევია და არ შემდრკალა.

ამ ქვეყნად ყველაზე მეტად ის ახარებდა, რომ მისი ერთადერთი ვაჟიშვილი **დავითი** მისი საქმის გამგრძელებელი იყო, რომელიც დაინიშნა მის მიერ ჩამოყვანილ ამწეკრანის კაპიტნად, იგი განაგრძობს მამის დაწყებულ საქმეს და სწორედ ასეთებზე იტყვიან: ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა.

ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან ბატონი სერგო ბარამიძე. მისი ცხოვრება მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყნად. მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს იქნება თითოეული მეზღვაურის გულში ვინც კი იცნობდა მას.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

მეგობრები

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“ E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა